ინსტრუქცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა

თბილისი, 2024 წელი

სარჩევი

შესავალი 2

ტერმინთა განმარტება 3

ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბანი 4

ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნის მოთხოვნის პროცედურა 6

შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის პროცედურა 9

შშმ ამომრჩევლებთან საუბრისა და ქცევის ეტიკეტი 11

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისთვის სხვა ამომრჩევლების თანასწორად არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობა მათი ფუნდამენტური უფლების რეალიზებაა.

საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

საქართველოს კანონმდებლობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაცია, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით ხელს უწყობს ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას და განვითარებას საქართველოში. წლების მანძილზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების (შშმ ამომრჩეველი) არჩევნებში თანაბარი მონაწილეობისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) არაერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა განახორციელა.

შშმ პირების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის შეიქმნა და დაინერგა ახალი სერვისები. კერძოდ, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი მისაწვდომია მცირემხედველი და უსინათლო პირებისთვის; საინფორმაციო ვიდეორგოლები მზადდება ჟესტურ ენაზე; ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში, ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ჟესტურ ენაზე; შშმ პირებისთვის მზადდება საინფორმაციო ვიდეორგოლი ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, რომელიც მისაწვდომია ჟესტურ ენაზე; მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის მარტივად წასაკითხ ფორმატში შემუშავებულია არჩევნებში მონაწილეობის გზამკვლევი, რომელიც ასევე მისაწვდომია ყრუ პირებისთვის ჟესტურ ენაზე, ხოლო უსინათლო პირებისთვის აუდიო ფორმატში. საარჩევნო პერიოში ხორციელდება შშმ პირთა დასაქმება. კენჭისყრის დღეს მისაწვდომია: უსინათლო ამომრჩევლებისთვის – საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა; მცირემხედველი ამომრჩევლებისათვის – გამადიდებელი ლინზა; ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისათვის – ხმის მიცემის კაბინები; ყრუ, სმენადაქვეითებული და უსინათლო ამომრჩევლებისთვის კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი პოსტერი, რომელზეც დატანილი QR წამკითხველი ინფორმაციას მისაწვდომს ხდის ჟესტურ ენასა და ხმოვან ფორმატში.

წლების მანძილზე განხორციელებულმა არაერთმა საქმიანობამ გვიჩვენა, რომ არჩევნებში მონაწილეობისთვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობასთან ერთად მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება და მომსახურების გაწევა სხვათა თანასწორად. სწორედ, მაღალი ცნობიერება ქმნის საფუძველს, რომ საარჩევნო გარემო იყოს ინკლუზიური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო), სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან (სწავლების ცენტრი) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) ერთობლივი თანამშრომლობით, შეიმუშავა სასწავლო ინსტრუქცია. ინსტრუქციის მიზანია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ცნობიერების ამაღლება შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტის, ქცევის ნორმების დაცვისა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ.

ტერმინთა განმარტება

შესაძლებლობათა შეზღუდვა - ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევის მქონე პირისათვის პიროვნული განვითარებისა და თვითრეალიზების სხვებთან თანაბარი შესაძლებლობის არქონა, რაც განპირობებულია ფიზიკური გარემოს, საზოგადოების დამოკიდებულებისა და სხვა ფაქტორების ერთობლიობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

ფიზიკური დარღვევის მქონე პირი - ზედა კიდურის/კიდურების არმქონე პირი; ეტლით/ყავარჯნით მოსარგებლე პირი; მობილობის შეზღუდვის მქონე პირი.

უსინათლო - ადამიანი მხედველობის სრული შეზღუდვით.

ყრუ - ადამიანი სმენის სრული უქონლობით ან სმენის სრული დაკარგვით.

სმენადაქვეითებული - სუსტი სმენის მქონე ადამიანი.

მცირემხედველი - - სუსტი მხედველობის მქონე ადამიანი.

მხარდაჭერის მიმღები პირი - პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

ჟესტური ენა - ბგერების ნაცვლად ტუჩების მოძრაობის, ჟესტიკულაციის ან სხეულის პლასტიკის საშუალებით ასოების, ცნებების, სიტყვების გამოხატვა. ჟესტურ ენაში დაფიქსირებულია ის ჟესტები, რომლის გამოყენებითაც საუბრობენ ყრუ ან სმენადაქვეითებული პირები. ამ შემთხვევაში ჟესტები წარმოადგენენ სიტყვათა ექვივალენტებს (სიტყვათა შეთანხმებას, ცნებებს).

ჟესტური ენის მცოდნე - პირი, რომელიც ჟესტიკულაციით და ხელის მოძრაობით გამოხატავს სიტყვებს და ამ გზით ამყარებს კომუნიკაციას ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან.

რა ტერმინები უნდა გამოიყენონ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრის დროს?	**რა ტერმინები არ უნდა გამოიყენონ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრის დროს?**
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	ხეიბარი; ნაკლიანი; არასრულყოფილი; დეფექტური; უნარშეზღუდული, ინვალიდი
ფიზიკური დარღვევის მქონე პირი	ეტლს მიჯაჭვული; ინვალიდი
მხარდაჭერის მიმღები	გონება ჩამორჩენილი; გონებაშეზღუდული; ქმედუუნარო; ფსიქიკურად დაავადებული
უსინათლო, მცირემხედველი	ბრმა; ბრუციანი; ბეცი
ყრუ	ყრუ-მუნჯი

ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბანი

რას გულისხმობს ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბანი?

ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბანი გულისხმობს, როგორც შენობა-ნაგებობის გარე პერიმეტრს, ისე შენობაში შესასვლელის, შიდა სივრცისა და კენჭისყრის ოთახის მისაწვდომობას[1].

შენობა-ნაგებობის გარე პერიმეტრი – იგულისხმება შენობამდე მისასვლელი გზა, ჭიშკარი და შენობაში შესასვლელი კარები.

ჭიშკარი – კარი უნდა იღებოდეს შიგნიდან ან ორივე მიმართულებით ან მისაწვდომობისათვის სრულად უნდა იყოს ღია;

შენობაში შესასვლელი კარები – შენობის მთავარი შესასვლელი უნდა იყოს ფართო, უნდა იღებოდეს შიგნიდან ან ორივე მიმართულებით, კარებში შესასვლელი ზღურბლის სიმაღლე ისეთი უნდა იყოს, რომ ეტლით მოსარგებლემ მარტივად შეძლოს გადაადგილება;

შენობა მისაწვდომია, თუ მას გააჩნია:

პანდუსი – არის „მცირე დაქანება“ დაქანებული სიბრტყე, რომელიც გამოიყენება შენობაში შესასვლელად. პანდუსი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ხის, ბეტონის, მეტალის ან/ და სხვა;

მარტივი ადაპტაცია – რაც გულისხმობს, რომ შენობაში შესასვლელად არ არის გამოყენებული საფეხური, შენობის შესასვლელი არის ნულოვან დონეზე განთავსებული;

მოძრავი პანდუსი – რომელიც შეიძლება იყოს რკინის ან ხის კონსტრუქცია, იგი განკუთვნილია დროებითი სარგებლობისთვის.

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დარეგულირებულია ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ შესახებ; ხოლო 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დარეგულირებულია ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ შესახებ).

მოაჯირი – კიბეს ან პანდუსს უნდა გააჩნდეს მოაჯირი, რომლის შემადგენლობა უნდა იყოს გლუვი და მრგვალი ფორმის.

ალტერნატიული შესასვლელი – საარჩევნო უბანზე, რომელსაც გააჩნია ალტერნატიული ადაპტირებული/მისაწვდომი შესასვლელი, ამომრჩევლებისთვის უნდა იყოს გამოკრული გზის შესაბამისი ნიშანდებები.

კენჭისყრის ოთახი – კენჭისყრის ოთახი სასურველია, განთავსებული იყოს შენობის პირველ სართულზე. ეტლით მოსარგებლე პირმა კენჭისყრის ოთახში დამოუკიდებლად უნდა შეძლოს გადაადგილება.

ვინ არის პასუხისმგებელი საარჩევნო უბნის გამოყოფაზე ან/და ადაპტირებაზე?

საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი და 1[1] პუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებმა, სათანადო შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოყონ, რომელიც ყველა ამომრჩევლისათვის იქნება მისაწვდომი, ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში, საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისათვის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნის მოთხოვნის პროცედურა

ვის აქვს უფლება მოითხოვოს ადაპტირებული საარჩევნო უბანი და როგორ?

ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველი უფლებამოსილია, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, რისთვისაც მან კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-11 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიას.

რა პროცედურები უნდა განხორციელდეს საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ თუ საარჩევნო უბნის შეცვლის მიზნით მიმართა ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველმა?

საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში გაატარებს და ხელმოწერით დაადასტურებს ამომრჩევლის წერილობით განცხადებას (ამ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი) ან სატელეფონო შეტყობინებით მიღებულ ზეპირ განცხადებას (ამ შემთხვევაში მიეთითება ამომრჩევლის პირადი ნომერი, სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დრო და შესაბამისი ტელეფონის ნომერი);

ამომრჩევლის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის შემთხვევაში შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას ეცნობება ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანის შესახებ. ამომრჩევლის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის შემთხვევაში ამ ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-11 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას;

ამომრჩეველთა ერთიან სიაში აღინიშნება ამომრჩევლის იმავე საოლქო საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე არსებული ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში გადაყვანა, აგრეთვე ამომრჩეველთა ერთიან სიასა და ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში, „ფაქტობრივი მდგომარეობის“ გრაფაში კეთდება ჩანაწერი „ეტლით მოსარგებლეა“, რომელიც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ამავე კომისიის მდივნის ხელმოწერებით.

ვის აქვს უფლება, გადაამოწმოს ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის მოთხოვნის საფუძვლიანობა?

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს უფლება აქვთ, გადაამოწმონ ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის მოთხოვნის საფუძვლიანობა და არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა საუბნო საარჩევნო კომისიის წინაშე დასვან ამ ამომრჩევლების შესაბამის სპეციალურ სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის საკითხი. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა იღებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

რა წესით ხდება ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემების შეტანა?

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული, აგრეთვე საკუთარი მონაცემების საფუძველზე კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს ადაპტირებული საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა სპეციალურ სიას და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას დაუყოვნებლივ გადასცემს ამავე კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილ ამ სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას, ხოლო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა – საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ ვერსიას.

ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეიტანება ამომრჩევლის შესახებ იგივე მონაცემები, რომლებიც არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში, და დამატებით აღინიშნება ამ ამომრჩევლის რიგითი ნომერი ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალური სიის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (ფოტოსურათების გარეშე) დაუყოვნებლივ გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიის (კენჭისყრის) შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

სად არის სასურველი კენჭისყრის ოთახის განთავსება?

კენჭისყრის ოთახი სასურველია, განთავსდეს შენობის პირველ სართულზე, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შენობის შიდა სივრცეში (შესასვლელი, რომელსაც არ აქვს საფეხური/საფეხურები) დამოუკიდებლად შეძლებენ გადაადგილებას.

კენჭისყრის ოთახში შშმ ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი დამხმარე საშუალებები:

კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი – ყრუ, სმენადაქვეითებული და უსინათლო ამომრჩევლებისათვის გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას.

ხმის მიცემის კაბინა – ადაპტირებულ/მისაწვდომ საარჩევნო უბანზე განთავსებული უნდა იყოს ისეთი კაბინა, რომლის გამოყენებაც შეუძლია ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველს. კაბინას უნდა ჰქონდეს დაკრული სტიკერი.

გამადიდებელი ლინზა – მცირემხედველი პირებისთვის ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის მაგიდაზე განთავსებული უნდა იყოს ორი ცალი გამადიდებელი ლინზა.



საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა – უსინათლო პირებისთვის ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის მაგიდაზე განთავსებული უნდა იყოს ჩარჩო/ფორმა

ვინ უნდა გადაამოწმოს, კენჭისყრის ოთახში არის თუ არა შშმ ამომრჩევლებისთვის განკუთვნილი დამხმარე საშუალებები განთავსებული?

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საარჩევნო უბნის მოწყობისას, უნდა გაითვალისწინოს, რომ:

- ✔ კენჭისყრის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრული იყოს ამომრჩევლის კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი;
- ✔ ადაპტირებულ/მისაწვდომ საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის ოთახში განთავსებული იყოს ხმის მიცემის კაბინა, რომელიც შესაძლებელია გამოიყენოს ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველმა. კაბინას უნდა ჰქონდეს დაკრული სტიკერი;
- ✔ შშმ ამომრჩევლებისთვის მარტივი უნდა იყოს გადაადგილება სარეგისტრაციო მაგიდიდან კენჭისყრის კაბინამდე, შემდეგ კი საარჩევნო ყუთამდე;
- ✔ საარჩევნო ყუთი განთავსდეს ისე, რომ შშმ ამომრჩევლებმა დამოუკიდებლად შეძლონ საარჩევნო ბიულეტენის მოთავსება.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის დაწყებამდე, უნდა გაითვალისწინოს, რომ რეგისტრატორი კომისიის წევრის მაგიდაზე იდოს ორი ცალი გამადიდებელი ლინზა და საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა.

შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის პროცედურა

როგორ უნდა მოემსახუროს ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი შშმ ამომრჩეველს?

ვიდეო ზარის სერვისი

- ✔ თუ ყრუ ან სმენადაქვეითებული ამომრჩეველი თანმხლები პირის გარეშე არის კენჭისყრის შენობაში, ეკონტაქტეთ წერილობით და მიუთითეთ, რომ გაეცნოს კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველ პოსტერს. ამომრჩეველს აუხსენით, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველ პოსტერზე დატანილია QR წამკითხველი, რომლის დასკანერების შემთხვევაში შესაძლებელია ხმის მიცემის პროცედურების გაცნობა ხმოვან ფორმატში;
- ✔ ასევე შეგიძლიათ შესთავაზოთ, რომ მას საშუალება აქვს, ცესკოს კონტაქტ ჰაბში განახორციელოს ვიდეოზარი და ცესკოს ვებგვერდის საშუალებით, ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით. მომსახურების მისაღებად აუცილებელია ინტერნეტთან წვდომა და ცესკოს ვებგვერდზე (www.cesko.ge) რეგისტრაციის გავლა.

- ✔ ზედა კიდურების (ორივე ზედა კიდურის) არმქონე ამომრჩეველს არ გაუკეთოთ მარკირების შემოწმების პროცედურა. ზედა კიდურების არმქონე ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს დამოუკიდებლად ან/და სხვა პირის დახმარებით.

როგორ უნდა მოემსახუროს შშმ ამომრჩეველს ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი?



- ✔ უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს ვერბალურად აუხსენით თქვენ მიერ განსახორციელებელი პროცედურები;
- ✔ რეგისტრაციის გავლის შემდეგ, უსინათლო ამომრჩეველს მიაწოდეთ ინფორმაცია საარჩევნო ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ;
- ✔ საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ ბიულეტენის შესავსებ ჩარჩო/ფორმაში. ამის შემდეგ უსინათლო ამომრჩეველს აუხსენით, რომ როდესაც გამოიყენებს საარჩევნო ბიულეტენის შესავსებ ჩარჩო/ფორმას და შემოხაზავს მისთვის სასურველ კანდიდატს, ბიულეტენი უნდა ამოიღოს ჩარჩო/ფორმიდან და დაკეცოს;
- ✔ საარჩევნო ბიულეტენის შესავსებ ჩარჩო/ფორმაში არსებული ყოველი წრიული ჭრილი უნდა ემთხვეოდეს ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგით ნომრებს.

- ✔ მცირემხედველ ამომრჩეველს შესთავაზეთ გამადიდებელი ლინზა და აუხსენით მისი გამოყენების წესი.

- ✔ ყრუ ან სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს დაუწერეთ ეტაპობრივად თქვენ მიერ განსახორციელებელი პროცედურები. მაგალითად, დაუწერეთ „გთხოვთ, მომაწოდოთ პირადობის მოწმობა“; „მიბრძანდით ხმის მიცემის კაბინასთან“;

- ✔ ზედა კიდურების არმქონე (ორივე ზედა კიდურის) ამომრჩეველი არ გადის მარკირების პროცედურას; ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისას, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და დაადასტურეთ ხელმოწერით;
- ✔ ზედა კიდურების არმქონე ამომრჩეველს, მის მიერ არჩეული პირი ეხმარება კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში;
- ✔ მხარდაჭერის მიმღებ პირს ხმის მიცემის პროცესში შესაძლოა დაეხმაროს მხარდაჭერის განმახორციელებელი პირი.

გასათვალისწინებელია, რომ საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:

- ✔ საარჩევნო კომისიის წევრისა;
- ✔ კანდიდატისა;
- ✔ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;
- ✔ დამკვირვებლისა;
- ✔ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.

როგორ უნდა მოემსახუროს შშმ ამომრჩეველს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი?

- ✔ აუხსენით ამომრჩეველს, განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი. თუ ამომრჩეველი ყრუ ან სმენადაქვეითებულია, წერილობით აუხსენით მას ეტაპობრივად განსახორციელებელი პროცედურები (მაგალითად: „გთხოვთ, აიღოთ ერთი ცალი სპეციალური კონვერტი“; „კონვერტში მოათავსეთ გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი“; „სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში“);
- ✔ სპეციალური კონვერტის საარჩევნო ყუთში მოთავსების შემდეგ სთხოვეთ ამომრჩეველს, დატოვოს საარჩევნო უბანი.

გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება, საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. გამონაკლისია „ფიზიკური მდგომარეობის“ (ზედა კიდურების არმქონე) მქონე, უსინათლო და მხარდაჭერის მიმღები ამომრჩეველი, რომლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, საარჩევნო ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული ამომრჩეველი, რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში.

შშმ ამომრჩევლებთან საუბრისა და ქცევის ეტიკეტი

რა უნდა გაითვალისწინონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა შშმ ამომრჩევლებთან საუბრისა და ქცევის დროს?

უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველთან

- ✔ როდესაც საარჩევნო უბანზე ხვდებით ამომრჩეველს, რომელიც უსინათლო ან მცირემხედველია, აუცილებლად წარუდგინეთ თავი. გაახმოვანეთ, „გამარჯობა, მე ნინო/გიორგი ვარ“;
- ✔ ესაუბრეთ მშვიდი ტონით;
- ✔ თუ ხელის ჩამორთმევა გსურთ, აცნობეთ მას ამის შესახებ ან შეახეთ ხელი მის ზურგს, რათა უსინათლო პირმა მარტივად შეძლოს ხელის ჩამორთმევა. გაახმოვანეთ: „შეიძლება ჩამოგართვათ ხელი?“;
- ✔ მოკლედ აღწერეთ ადგილი, სადაც იმყოფებით. მაგალითად, „დარბაზის ცენტრში თქვენგან დაახლოებით 8 ნაბიჯის დაშორებით დგას რეგისტრატორი კომისიის წევრის მაგიდა“;
- ✔ თუ უსინათლო ამომრჩეველი გამცილებელ ძაღლთან (გიდი ძაღლი) ერთადაა, არ ეთამაშოთ ძაღლს;
- ✔ ნუ გამოართმევთ უსინათლო ამომრჩეველს ხელჯოხს. ეს მისი საორიენტაციო ინსტრუმენტია;
- ✔ მიაწოდეთ ინფორმაცია ბარიერების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). მაგალითად: ზღურბლი, კიბე და სხვა. ასევე, მიმართულების ახსნისას გამოიყენეთ „თქვენგან მარჯვნივ, მარცხნივ, ქვევით“;
- ✔ უსინათლო ამომრჩეველს ჰკითხეთ, გადაადგილებისას ხომ არ სჭირდება დახმარება; თანხმობის შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართეთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს;
- ✔ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი ნებართვას იღებს უსინათლო ან მცირემხედველი ამომრჩევლისგან გადაადგილებაში დახმარების მიზნით. დადებითი პასუხის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის ერთ-ერთი წევრი დგება ამომრჩევლის გვერდით, უსაფრთხო ორიენტაციისთვის სთხოვს უსინათლო ან მცირემხედველ პირს ხელი მოჰკიდოს მკლავზე, რის შემდგომაც, უხსნის თითოეულ მის მიერ განსახორციელებელ პროცედურას და აცილებს სარეგისტრაციო მაგიდასთან.

ფიზიკური დარღვევის მქონე ამომრჩეველთან

- ✔ ნუ შეეხებით დაუკითხავად ეტლს, ასევე დაუშვებელია მასზე დაყრდნობა;
- ✔ არ გადააადგილოთ ეტლი თვითნებურად, ამისთვის აიღეთ ნებართვა. თუ მიიღეთ თანხმობა, გადაადგილება დაიწყეთ ნელა, ვინაიდან ეტლი სწრაფად იღებს სიჩქარეს;
- ✔ სანამ ფიზიკური დარღვევის მქონე ამომრჩეველს დახმარებას გაუწევთ, აუცილებლად შესთავაზეთ, სჭირდება თუ არა მას თქვენი დახმარება: „შემიძლია დაგეხმაროთ?“ ან „როგორ შემიძლია დაგეხმაროთ“. მაგალითად, მძიმე კარის გაღებისას ან ოდნავ შემაღლებული ზღურბლის გადასვლისას.

მხარდაჭერის მიმღებ პირთან

- ✔ არ ესაუბროთ „ბავშვური ენით“, ნუ მოეპყრობით მას, როგორც ბავშვს. მიმართეთ, როგორც ნებისმიერ სხვა ზრდასრულს;
- ✔ არ იფიქროთ, რომ თქვენი არ ესმის;
- ✔ ისაუბრეთ გასაგები ენით, მოკლე და მარტივი წინადადებებით;
- ✔ თუ არ იცის ხმის მიცემის პროცედურა, აჩვენეთ კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი;
- ✔ ნუ შეეცდებით საუბრის დაჩქარებას. მზად იყავით, რომ მეტყველების სირთულეების მქონე პირთან კომუნიკაცია შესაძლოა შედარებით მეტ დროს მოითხოვდეს;
- ✔ გაითვალისწინეთ, რომ მეტყველების დარღვევა, ავტომატურად, ინტელექტუალური დარღვევის მაჩვენებელი არ არის;
- ✔ მხარდაჭერის მიმღებმა პირმა შესაძლოა კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს როგორც დამოუკიდებლად, ასევე მხარდამჭერის (სხვა პირის) დახმარებით.

ყრუ ან სმენადაქვეითებულ ამომრჩეველთან

- ✔ როდესაც ყრუ ან სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს ესაუბრებით, უყურეთ მას პირდაპირ. სმენის დაქვეითების სხვადასხვა ტიპი და ხარისხი არსებობს, შესაბამისად, არსებობს ურთიერთობის მრავალი საშუალება;
- ✔ თუ ზეპირ ურთიერთობებში სირთულეები გაგიჩნდათ, მოსაუბრის ნებართვით მიმართეთ წერილობით ურთიერთობას. დაუწერეთ ყველა ის პროცედურა, რაც თქვენ ფუნქციებში შედის. მაგალითად, დაუწერეთ: „გთხოვთ, მომაწოდოთ თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი“;
- ✔ თუ ყრუ ან სმენადაქვეითებული ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში გამოცხადდება ჟესტური ენის მცოდნე თანმხლებ პირთან ერთად, იგი მისი დახმარებით გაივლის კენჭისყრის პროცედურას; არ მიმართოთ უშუალოდ თანმხლებ პირს, საუბრის დროს შესაძლოა პერიოდულად გადახედოთ მას. მნიშვნელოვანია, დაამყაროთ კეთილგანწყობილი კონტაქტი ამომრჩეველთან.

ცესკოსა და სწავლების ცენტრის ოფიციალური
ვებგვერდები ადაპტირებულია/მისაწვდომია უსინათლო და
მცირემხედველი პირებისთვის
WWW.CESKO.GE
WWW.ELECTIONREFORMS.GE

ცენტრალური საარჩევნო კომისია
მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N138
ტელ: 2 51 00 51
ვებგვერდი: WWW.CESKO.GE